კულტურულ-ჰუმანიტარული
ფონდი „სოხუმის“
ყოველთვიური გამოცემა

საინფორმაციო ბიულეტენი #7

2016 წლის ივლისი

მომზადებულია პროექტის
„ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“ ფარგლებში
მხარდამჭერი - ორგანიზაცია

საანგარიშო პერიოდში - 01 – 30 ივლისი - მიღწეული შედეგები:

ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მუშაობა, ახალი პროექტების განხორციელებით მიღებული შედეგები

ფონდი „სოხუმის“ ქალთა მხარდაჭერის ცენტრები იმ პროექტების შედეგებს აჯამებენ, რომლებიც ცალკეულმა ცენტრმა დამოუკიდებლდ განახორციელა საკუთარ ბენეფიციარებთან, საკუთარ გეოგრაფიულ არეალში. ყველა პროექტი ერთმანეთისგან განსხვავებული და გამორჩეულია. განსხვავებულია მათი ფორმატიც. ამ პროექტების გამაერთიანებელია ძირითადი მიზნები და ამოცანები: ძალადობის პრევენცია, ქალთა უფლებების დაცვა და მათი გაძლიერება.

ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი

„მდიდარი წარსულით - მდიდარი მომავლისკენ“ - ეს იყო პირველი პროექტი, რომლის ინიციატორი **ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი გახდა.** პროექტის ფარგლებში 20 ივნისს, დევნილთა საერთაშორისო დღეს ქუთაისში, „თიბისი გალერეაში“ იმ არასამთავრობო ორგანიზაციების გამოფენა გაიმართა, რომლებიც დევნილთა საკითხებზე მუშაობენ.

შედეგები:

- ღონისძიებამ გააერთიანა საზოგადოების სხვადასხვა სპექტრი, ადგილობრივი სამთავრობო და არასამთავრობო ხელისუფლება, სამოქალაქო აქტივისტები, კერძო მეწარმეები და ყველას კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ აფხაზეთის თემა მტკივნეულია და რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც დღემდე ცხოვრობენ კოლექტიურ ცენტრებში, ნორმალური პირობების გარეშე.

- გამოფენის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ, ქალთა ავტორობით შესრულებული ნამუშევრები დაეთვალიერებინათ - გობელენი, თექა, თემატური ნახატები, ხელით შექმნილი სამკაულები. იქვე, ადგილზე გაიყიდა რამდენიმე ნაწარმი. დამთვალიერებლებმა ჩაიწერეს მეწარმე ქალების საკონტაქტო ნომრები.
- ღონისძიება გაშუქდა ტელეკომპანია „რიონის“ ეთერით, რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ დევნილთა თემა პრიორიტეტული გახდეს ადგილობრივი მედიისთვის.

წყალტუბოს ქალთა მხარდაჭერის ცენტრი

„ცოდნით ვძლიოთ ძალადობას“ - ამ პროექტით **წყალტუბოს ქალთა მხარდაჭერის ცენტრის** ბენეფიციარები ორ სოფელში: ხომული და სოფელი წყალტუბო საზოგადოების ინფორმირებით შეეცადნენ ძალადობის პრევენციას.

2 ტრენინგი, 4 საინფორმაციო შეხვედრა ამავე სოფლის ბენეფიციარ ქალებთან, 2 შეხვედრა სოფლის ხელმძღვანელებთან - ეს პროექტით გაწერილი აქტივობებია.

შედეგები:

- პირველად მოხდა ამ ორ სოფელში მცხოვრები თემის ინფორმირება ოჯახში ძალადობის საკითხებზე. პირველად ისაუბრეს იმსხვერპლთა დახმარების პრევენციულ მექანიზმებზე, პირველად გააცნობიერეს საკუთარი ფუნქციები და რა უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ არ აღმოჩნდნენ მსხვერპლის მდგომარეობაში.
- მობილიზატორებმა მიიღეს ტრენინგების დამოუკიდებლად ჩატარების გამოცდილება.
- სოფლის ხელმძღვანელობამ რეალურად დაადასტურა თანამშრომლობისთვის მზადყოფნა, გამოყო სპეციალური ოთახი ტრენინგის ჩასატარებლად. პასუხისმგებლობა აიღო ჯგუფის შეკრებაზე.
- ინფორმირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო შეხვედრა იმ სამიზნე ჯგუფთან, რომელსაც საკუთარი როლის გაძლიერება შეუძლიათ ძალადობის პრევენციაში. ესენი არიან: სოფლის გამგებელი, სამედიცინო პერსონლი, ბიბლიოთეკის გამგე, სკოლის პედაგოგები. შეხვედრაზე შემუშავდა რეკომენდაცია, აქტიურად ჩაერთოს სოფლის გამგეობა.
- საინფორმაციო შეხვედრის შემდეგ სოფლის ახალგაზრდობის ჩართულობით მოეწყო შაბათობა - გაიწმინდა სანიაღვრე არხი.

ხონის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი

„ინფორმირებული ქალები ცვლიან სამყაროს“ - **ხონის ქალთა მხარდაჭერის ცენტრმა** აღნიშნული პროექტი ნახახულევის, მათხოჯის და კუხის ადმინისტრაციულ ერთეულებში განახორციელა. პროექტის ფარგლებში ჩატარდა 3 საინფორმაციო შეხვედრა სოფლებში, 2 შეხვედრა საკრებულოსა და გამგეობაში. აქტივობები მიზნად ისახავდა ქალთა ინფორმირებას ძალადობის პრევენციულ საკითხებზე.

შედეგად:

- საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 78 ადამიანმა. ამდენივე ადამიანი მზად არის, საკუთარი წვლილი შეიტანოს ძალადობის პრობლემის მოგვარებაში, რადგან ინფორმირება პრევენციაში მნიშვნელოვანი ნაწილია.
- პროექტით დაინტერესდნენ არა მხოლოდ მოქალაქეები, მასში აქტიურად იყვნენ ჩართული სოფლის ხელმძღვანელები, გაფართოვდა თანამშრომლობა ქალთა მხარდაჭერის ცენტრსა და სოფლის ხელმძღვანელებს შორის.

- ადგილობრივი თემის ხელმძღვანელები წარმატებული პარტნიორობისათვის დაჯილდოვდნენ სპეციალური სიგელებით, რაც მათთვის მოტივაციის ამაღლების საფუძველი გახდა. ისინი მზად არიან, მომავალშიც განაგრძონ თანამშრომლობა ქალთა მხარდაჭერის ცენტრთან, რაც ხელს შეუწყობს სოფლის მოსახლეობის ინფორმირებას ძალადობის თემაზე.
- საინფორმაციო შეხვედრებიდან 2 ბენეფიციარი დაინტერესდა ფსიქოლოგის კონსულტაციით და ინდივიდუალურ შეხვედრაზე ჩაეწერა.

ფოთის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი

„ძალადობის პრევენცია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზებით“ - ფოთის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი სპორტული შეჯიბრებების ორგანიზებით შეეცადა ძალადობის პრევენციას. პროექტი მიზნად ისახავდ არაძალადობრივი გარემოს შექმნას ახალგაზრდებში და დევნილი ბავშვების ინტეგრაციას ადგილობრივ თემთთან.

შედეგად:

- პროექტში ჩართულნი იყვნენ დევნილი და ადგილობრივი ბავშვები, რაც მათი ინტეგრირებისთვის კარგ საფუძველს ქმნის.
- დევნილი ბავშვებისთვის კარგი შესაძლებლობა იყო საკუთარი რესურსების წარმოსაჩენად
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ჩართულობა და მათი ინტეგრირება მოხდა
- პროექტის ფარგლებში დაიბეჭდა პოსტერები, რომელიც ღონისძიების მსვლელეობისას დარიგდა, ასევე რაც ინფორმირებული დამიანების რაოდენობას ზრდის
- ღონისძიებაზე მოწვეულნი იყვნენ სტუმრები ადგილობრივი თვითმმართველობიდან, სპორტსმენები, მშობლები, ქალაქის საპატიო ადამიანები, რამაც ხელი შეუწყო ღონისძიების მასშტაბურობას.
- პროექტზე მუშაობისას ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობა გაიზარდა, რაც მათი მხრიდან პროექტის მხარდაჭერით დაფიქსირდა.
- გაიზრდა ქალთა მხარდაჭერის ცნობადობა, იმიჯი.
- მობილიზატორებმა შეიძინეს უნარ-ჩვევები, როგორ მართონ პროექტი, მიიღონ დაგეგმილი შედეგები

ხურჩის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი

„ოჯახი ძალადობის გარეშე“.- ხურჩის ქალთა მხრდაჭერის ცენტრი ამ პროექტით ინფორმირებულობის ხარისხის ამაღლებას შეეცადა ზუგდიდის სამ სოფელში: დიდი ნეძი, ორსანტია, ინგირი. სამივე სოფელში მოეწყო ფილმის ჩვენება და დისკუსია. პროექტი დასრულდა მრგვალი მაგიდით, რაშიც სამივე სოფლის ბენეფიციარებმა მიიღეს მონაწილეობა.

შედეგად:

- პროექტში ჩართული იყო სამი სოფლის ბენეფიციარები, რამაც გაზარდა ინფორმირებული ადამიანების გეოგრაფიული არეალი.
- ფილმის ჩვენება ეფექტური გამოდგა მონაწილეებისათვის, ისინი ჩასწვდნენ ძალადობის არსს, გააცნობიერეს პრობლემის მასშტაბურობა.
- შემაჯამებელ მრგვალ მაგიდაზე მოწვეულნი იყვნენ სოფლის ხელმძღვანელები, მათი მხრიდან თანამშრომლობისთვის მზადყოფნა დაფიქსირდა. ისინი მზად არიან,

გადმოამისამართონ საკუთარი ბენეფიციარები ფსიქოლოგისა და იურისტის კონსულტაციაზე

- ახალ ბენეფიცირებთან მუშობამ აჩვენა, რომ ამ სოფლებში ინფორმაციის დეფიციტია, მომდევნო თვიდან სამობილიზაციო შეხვედრებში ამ სოფლების ჩართვა მოხდება.

სენაკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი

სენაკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრმა ძალადობასთან ბრძოლა ახალგაზრდების ინფორმირებით გადაწყვიტა. „ინფორმირებული ახალგაზრდობა - ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ - ამ პროექტის განხორციელებას სენაკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი ოქტომბერში, სასწავლო წლის დაწყების შემდეგ გეგმავს.

აქტიურობა პრობლემათა მოსაგვარებლად

პროექტების განხორციელების პარალელურად, ქუთაისის, ხონის, წყალტუბოს, სენაკის, ფოთის და ხურჩა/კოკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრები აქტიურად აგრძელებენ მუშაობას სხვადასხვა სოციალური პრობლემის ადვოკატირების, ბენეფიციართა ინფორმირებისა და ძალადობის მსხვერპლთა დახმარების კუთხით.

სენაკში სამობილიზაციო შეხვედრაზე, ერთ-ერთმა ბენეფიციარმა სოფელ მენჯიდან დახმარება ითხოვა. მასთან წყალკანლიდან ძალიან დიდი გადასახადი მოვიდა. არ იცოდა, როგორ გადაეხადა. მობილიზატორის დახმარებით მიმართეს კომპანიას და, როგორც სოციალურად დაუცველს, მიეცა შეღავათი.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორთა დახმარებით 2 ქალმა მიიღო ერთჯერადი დახმარება მედიკამენტების შესაძენად.

მობილიზატორებს დახმარებისთვის მამაკაცმა მიმართა, ის მეუღლესთან განქორწინებულია და ბავშვები მასთან ერთად ცხოვრობენ. აღნიშნულ ოჯახს მოეხსნა სოციალური დახმარება და არ იციან, რა მიზეზით, მათი შემოსავალი არ გაზრდილა. მობილიზატორის დახმარებით დაიწერა და გაიგზავნა წერილი სოციალურ სააგენტოში. ამჟამად პასუხის მოლოდინში არიან.

ქუთაისში ერთ-ერთ კოლექტიურ დასახლებაში მობილიზატორის დახმარებით შეიქმნა ამხანაგობა. შეირჩა პიროვნება რომელიც ამ აგერთიანებს უხელმძღვანელებს.

წყალტუბოში სანატორიუმ „ინტურისტში“ დევნილებმა ეზოს დასუფთავება გადაწყვიტეს. მობილიზატორის დახმარებით მიმართეს წერილობით ადგილობრივ ხელისუფლებას, რომლებმაც გამოაგზავნეს სპეციალური ჯგუფი და მოხდა ეზოს შეწამვლა და დამუშავება.

წყლტუბოს სანატორიუმ „საქართველოში“ დევნილები ძალიან იყვნენ შეწუხებული სარდაფში არსებული ანტისანიტარიით. ეს ფაქტი მეზობლებს შორის დაუმთავრებელი კონფლიქტის მიზეზი ხდებოდა. მობილიზატორთან ერთად დაიწერა წერილი, შეგროვდა ხელმოწერები და მიმართეს ადგილობრივ ხელისუფლებას. ამ ეტაპზე პასუხს ელოდებიან.

ახალ რაიონში მცხოვრებ მარტოხელა დედას სჭირდებოდა ოპერაცია. 70 პროცენტს უფინანსებდა სახელმწიფო დაზღვევა, მაგრამ დარჩენილი 30% მისთვის პრობლემა აღმოჩნდა. მობილიზატორებმა აუხსნეს, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას გააჩნია დახმარების პროგრამა. აღნიშნულმა ბენეფიციარმა მიმართა ადგილობრივ გამგეობას, მან დაპირება მიიღო.

ახალ რაიონში მცხოვრებ დევნილებს პრობლემა აქვთ განათებასთან დაკავშირებით.

მათ მობილიზატორის რეკომენდაციით მიმართეს გამგეობას რამდენიმე ლამპიონი დაამატონ, რათა ღამე მოსახლეობას გადაადგილების საფრთხე არ ჰონდეს. ისინი პასუხის მოლოდინში არიან.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრს დახმარება სთხოვა მარტოხელა მამაკაცმა. ის ეტლით მოძრაობს. სჭირდება მედიკამენტები და არა აქვს შესაძენი თანხა. მობილიზატორის დახმარებით მან წერილით მიმართა ადგილობრივ გამგეობას. უკვე მიიღო პასუხი, რომ 150 ლარი გადაერიცხება მედიკამენტების შესაძენად.

ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობა მოქალაქეთა ინფორმირების და პრობლემათა მოგვარების მიზნით

გრძელდება შეხვედრები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან. ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორები ესწრებიან საკრებულოს სხდომებს და ისმენენ ინფორმაციებს სხვადასხვა პროგრამის შესახებ. ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა სხვა ეტაპზე გადავიდა მას შემდეგ, რაც ცენტრებმა სხვადასხვა პროექტის განხორციელება დაიწყეს. სწორედ სოფლების ხელძღვანელებთან თანამშრომლობით ხდება პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელება, რაც ხელს უწყობს სოფლად მცხოვრებ ქალთა ინფორმირებას ძალადობის თემაზე და ძალადობის პრევენციას.
ინტენსიურად გრძელდება მობილიზატორთა გასვლითი საინფორმაციო შეხვედრები ახლომდებარე სოფლებში, რადგან სწორედ ბენეფიციარებიდან მოდის მსგავსი ფორმატით შეხვედრების ჩატარების აუცილებლობა.
სოფლის გამგებლების მხარდაჭერით მოხდა სამობილიზაციო შეხვედრების ორგანიზება და ჩატარება შემდეგ სოფლებში: გუმბრი და წყალტუბო (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი), ნოსირი და ხორში (სენაკის მუნიციპალიტეტი), ქუტირი და ივანდიდი (ხონის მუნიციპალიტეტი).
ქალთა მხარდაჭერის ცენტრებსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობამ და სხვადასხვა დონის შეხვედრებში მონაწილეობამ ხელი შეუწყო ინფორმაციის გაცვლას და პრობლემების ადვოკატირებას.

ერთობლივი პროექტი თანამშრომლობის ფარგლებში

ფონდმა „სოხუმმა“ ზუგდიდის გამგეობასთან თანადაფინანსებით განახორციელა პროექტი „ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლობა - ოჯახში ძალადობის პრობლემის პრევენცია და მსხვერპლის დაცვა“. პროექტი ივნისში დაიწყო. ამ ეტაპზე ჩატარებულია 6 ტრენინგი. მასში ჩართულნი იყვნენ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 48 ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები, საკრებულოს დეპუტატები და სოფლების აქტივისტები. თითოეულ ჯგუფში შემუშავდა რეკომენდაციები, სადაც განისაზღვრა ადგილობრივი ხელისუფლების როლი ძალადობის პრევენციაში. პარალელურად 48 სოფელში ჩატარდა ანკეტირება, კვლევის შედეგები წარმოაჩენს რეალურ სურათს, რა მდგომარეობაა ქალთა მიმართ ძალადობის კუთხით აღნიშნულ სოფლებში.

მუშაობა კრიზისულ ოჯახებთან

კრიზისულ ოჯახებზე დაკვირვება, მუდმივი მონიტორინგი და თანამშრომლობა ქალთა მხარდაჭერის ცენტრების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

ფოთში, დევნილთა დასახლებაში სამობილიზაციო შეხვედრის ერთმა მონაწილემ მობილიზატორებს უამბო, რომ მისი მეგობარი ქალი მეუღლისგან ძალადობის მსხვერპლია. მობილიზატორები შეხვდნენ მას და ესაუბრნენ. ბენეფიციარი მზად არის, ფსიქოლოგთან შეხვედრას დაესწროს, მაგრამ ითხოვა კონფიდენციალობა, რომ ამის შესახებ მისმა მეუღლემ არ გაიგოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის მორიგი ცემის ობიექტი გახდება. ეს ოჯახი მობილიზატორთა დაკვირვების ქვეშაა.

ძალადობის მსხვერპლთან მუშაობა

ძალადობის მსხვერპლ ქალებთან მუშაობა პროექტის ინდიკატორითაა განსაზღვრული, ამიტომ მობილიზატორთა საქმიანობაში კვლავაც აქტუალურია. საზოგადოებრივი სტიგმის გამო მსხვერპლი ნაკლებად აქტიურობს და არ სურს რაიმეს შეცვლა თავის ცხოვრებაში. მიუხედავად ყველაფრისა, მობილიზატორები ახერხებენ მსხვერპლთან მუშაობას. ატარებენ მასთან შეხვედრებს, განუმარტავენ საკუთარ უფლებებს.
ფოთში რამდენიმე თვეა, მობილიზატორები თანამშრომლობენ ძალადობის მსხვერპლთან, მაგარამ ის მუდმივად იმეორებდა, რომ ეს მხოლოდ მისი საქმეა და თუ დახმარება დასჭირდებოდა, თავად გაიგნებდა გზას. მიუხედავად მისი რადიკალური გადაწყვეტილებისა, მობილიზატორები პერიოდულად აკითხავდნენ მას და აწვდიდნენ ინფორმაციებს, უყვებოდნენ პოზიტიურ მაგალითებს, როგორ დაეხმარნენ ამა თუ იმ მსხვერპლს და შეცვალეს მისი მდგომარეობა უკეთესობისკენ. ერთ დღეს ქალბატონი მობილიზატორს საკუთარი ინიციატივით ესტუმრა და სთხოვა, გაესაუბროს მის მეუღლეს, რადგან ყოველდღე უარესდება სიტუაცია ოჯახში. უკვე გეგმავენ, როგორ მოაწყონ ეს შეხვედრა, კიდევ ვინ უნდა ჩაერიოს, რათა მოლაპარაკება ეფექტური იყოს.
თვის განმავლობაში შეივსო ძალადობის მსხვერპლის 4 ანკეტა. ერთმა ქალთა მხარდაჭერის ცენტრის ფსიქოლოგთან გაიარა კონსულტაციები. დანარჩენებთან მიმდინარეობს მუშაობა იმ მიზნით, რომ მათ ცენტრის საკონსულტაციო სერვისი გამოიყენონ.

იურიდიული საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები და მოგვარებული პრობლემები

ფოთში იურისტს დახმარებისთვის მიმართა დევნილმა ქალბატონმა. აპლიკაციის შევსების შემდეგ მოვიდა დაბალი ქულები და შესაბამისად, ამ ეტაპზე ვერ მიიღებს ბინას. იურისტმა კონსულტაცია ურჩია, მიმართოს დევნილთა სამინისტროს, კონკრეტულად აღწეროს თავისი ოჯახის მდგომარეობა, რომ ჰყავს ფსიქიკურად ავადმყოფი მეუღლე, არის სოციალურად დაუცველი და რომ ხელახლა მოხდეს აპლიკაციის გადამოწმება. კონსულტაციის შემდეგ მომზადდა წერილი და ყველა საჭირო დოკუმენტი. ეს შემთხვევა იურისტის კონტროლის ქვეშაა და მას ბოლომდე გაუწევს ლობირებას.
წყალტუბოში იურისტს დახმარება სთხოვა ორმა ბენეფიციარმა, მათ პრეტენზიები აქვთ სოციალურ ქულებთან დაკავშირებით. იურისტმა განუმარტა მათ, რომ შეუძლიათ, მიმართონ ცენტრალურ სოციალურ სააგენტოს, რომელიც ვალდებულია, ხელახლა გადაამოწმოს აღნიშნული ქეისები.
ქუთაისში კოლექტიურ ცენტრ „ცუგრუმელაში“ მცხოვრებმა ბენეფიციარებმა იურისტს დახმარებისათვის მიმართეს. მათი პრობლემა ისაა, რომ სარდაფში ვირთხების და სხვადასხვა

მავნე მწერების გამო სჭირდებათ შეწამვლა. იურისტის რეკომენდაციით მიმართეს ქუთაისის მერიის შესაბამის სამსახურს, გამოხმაურება მალევე მოხდა. სარდაფის დამუშავება მოხდა სპეციალური ხსნარებით და პრობლემა მოგვარდა.
ქუთაისში იურისტმა გასცა ერთი ონლაინ-კონსულტაცია. ბენეფიციარი ითხოვდა ინფორმაციას სოციალურ კრიტერიუმებს ქულათა მინიჭების შესახებ.
ქუთაისში იურისტს დახმარებისათვის მიმართა ქალბატონმა. ის არის თაღლითობის მსხვერპლი. 4000 ლარი ჩადო ერთ-ერთ კომპანიაში, რომელიც დასაქმებას დაჰპირდა. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ის აღნიშნულ თანხას ვერ მიიღებდა. ქალბატონს ხელზე აქვს გადარიცხვის ჩეკი, რაც საჭირო დოკუმენტია თაღლითობის სქემის დასამტკიცებლად.

ფსიქოლოგიური კონსულტაციების შედეგები

ივლისში აქტიური მუშაობა ჩაატარა ფონდი „სოხუმის“ ორმა ფსიქოლოგმა. ქუთაისში, სენაკში და ხურჩაში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) განსახილველი თემა იყო „კრიზისული პერიოდები ოჯახის განვითარებაში, როგორც ოჯახში ძალადობის პრევენცია“. მეუღლეთა შორის კონფლიქტი, პირველ რიგში, დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ესმით ცოლ-ქმარს ერთმანეთის, რამდენად შეუძლიათ პატიება და დათმობა, ანუ კომპრომისზე წასვლა - ამ და სხვა საკითხებზე საუბრობდნენ შეხვედრებზე, რომლებსაც მონაწილეები მნიშვნელოვნად და სასარგებლოდ მიიჩნევენ.
წყალტუბოში, ხონსა და ფოთში შეხვედრების ძირითადი თემა იყო: ბავშვთა მიმართ ძალადობა და მისი ნეგატიური შედეგები ბავშვთა ქცევასა და ფსიქო-ემოციურ სფეროზე. პასუხისმგებლობა, ქცევის კონტროლის მექანიზმები ოჯახში ძალდობის პრევენციისათვის. კონსულტაციებმა ბენეფიციართა აქტიური ჩართულობით ჩაიარა. მათთვის ამ სახის შეხვედრები ერთადერთი საშუალებაა მათი ინფორმირებისა და რეაბილიტაციისათვის.
ქუთაისის კოლექტიურ ცენტრებში თვის განმავლობაში გაიმართა 12 ჯგუფური შეხვედრა ფსიქოლოგთან.
ქალბატონები დიდი ინტერესით უსმენდნენ ფსიქოლოგს, მოყავდათ მაგალითები საკუთარი გამოცდილებიდან. შეხვედრების დასასრულს მონაწილეებმა მადლიერება გამოთქვეს კონსულტაციისათვის და აღნიშნეს, რომ განხილული თემა და მიღებული რეკომენდაციები მათთვის აუცილებელი და სასარგებლო იყო.

ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფის კვლევები

მონიტორინგის ჯგუფმა ჩაატარა ფოკუს-ჯგუფები ქუთაისსა და ზუგდიდში სამართალდამცავ სტრუქტურებთან. გამოიკვეთა, რომ მათთვის პრობლემა აქტუალურია, აქტიურად არიან ჩართულნი პროცესში, თუმცა არსებობს ხარვეზები. მათი აზრით, სასურველია, პოლიციელებთან ერთად მუშაობდეს ფსიქოლოგი.
ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდით ინფორმაციები მოძიებულ იქნა განათლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებიდან. მათი საქმიანობა ნაკლებად არის ცნობილი იმ სამიზნე ჯგუფებისთვის, ვისთანაც მათ უწევთ მუშაობა და მათ მიერ გატარებული პოლიტიკა შეუსაბამობაშია არსებულ რეალობასთან.

ახალგაზრდული კლუბების მუშაობა

ახალგაზრდული კლუბების შეხვედრები რამდენიმე თემაზე ჩატარდა. ოჯახში ძალადობის მიზეზები და პრევენციული მექნიზმები განიხილეს წყალტუბოს, ხონის, კოკის ახალგაზრდულმა ჯგუფებმა.
ტრეფიკინგი - როგორც ძალადობის ერთ-ერთი ფორმა - ამ საკითხებზე იმსჯელეს ფოთში, ქუთაისში, სენაკში. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა სენაკში, სოფელ თეკლათში ჩატარებული შეხვედრა. მონაწილეებმა პირველად მოისმინეს მსგავსი ინფორმაციები და დაგეგმეს: ამ თემებზე გააგრძელონ დისკუსია თანატოლებთან.
კოკში მოწვეულნი იყვნენ ორსანტიის სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც თვითონ გამოხატეს დასწრების სურვილი. ახალი წევრები მალე გააქტიურდნენ და ინტერესით ჩაერთნენ თემის განხილვაში.
ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ჩატარებული შეხვედრა მიეძღვნა ტრეფიკინგის მიზეზებს და დამცავ მექანიზმებს. ამ აქტიურ ახალგაზრდულ კლუბში მოწვეული იყო სამი ახალი წევრი. დისკუსიაში ისინიც ჩაერთნენ. აღინიშნა, რომ გადაადგილება და მოგზაურობა დიდი რისკია, თუ ადამიანი სწორად არ არის ინფორმირებული. ამიტომ ამ შეხვედრებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ფორუმ-თეატრის წარმოდგენები და მიღებული შედეგები

ფორუმ-თეატრის ერთი წარმოდგენა გაიმართა ქუთაისში, სიყვარულის პარკში, მეორე - წყალტუბოს სანატორიუმის პარკში. მაყურებელთა აქტიურობა იგრძნობოდა ყველა წარმოდგენის შემდეგ, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოდ მიიჩნიეს დედა-შვილის ურთიერთობის სცენა. მონაწილეთა აზრით, ამ ფორმატით ძალადობის ჩვენება ეფექტურად მოქმედებს.

ვორკშოპები კონფლიქტოლოგიაში და განხილული თემის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი

ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში ჩატარდა ქალთა მხარდაჭერის ექვსივე ცენტრში. პიროვნული კონფლიქტების გარჩევა საინტერესო გამოდგა როგორც ქალებისთვის, ასევე ახალგაზრდებისთვის. მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებში გამოიკვეთა, რომ ხშირად ჰქონიათ დაპირისპირება საკუთარ თავთან: როცა ბოლომდე არა აქვთ გარკვეული, რა უნდათ, რა მიზანი აქვთ. პიროვნული კონფლიქტები ხშირად გამოაქვთ გარეთ, რაც სხვებთან ურთიერთობაში ნეგატიურად აისახება.
ვორკშოპებზე რეკომენდაციებიც შეიმუშავეს. მონაწილეები თვლიან, რომ სკოლებში უნდა ისწავლებოდეს კონფლიქტოლოგია, როგორც საგანი, განსაკუთრებით ბოლო კლასებში, ახალგაზრდები უკეთ შეისწავლიან საკუთარ თავს და უფრო ადვილად შეძლებენ სხვადასხვა ტიპის კონფლიქტების დარეგულირებას.

ივლისში გაიმართა გეგმით გათვალისწინებული 92 ღონისძიება და აგრეთვე აქტივობები ქალთა მხარდაჭერის ცენტრების პროექტების ფარგლებში

33 სამობილიზაციო შეხვედრა
4 ტრენინგი ზუგდიდში
6 შეხვედრა ფსიქოლოგთან ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში
12 საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა ფსიქოლოგთან ქუთაისში
6 იურიდიული საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში
12 საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა იურისტთან ქუთაისში
6 ახალგაზრდული კლუბი
6 ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში
3 შეხვედრა ფორუმ-თეატრის წარმოდგენებით
2 ჩაღრმავებული ინტერვიუ
2 ფოკუს-ჯგუფი